გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი:ნათელა მაჭარაშვილი	
საგანი:ისტორია	**კლასი:** IX კლასი
თემა:შუა ბრინჯაოს ხანა. თრიალეთის კულტურა	**დრო:** ..45..... წუთი.
მოსწავლეთა პროფილი:24მოსწავლე კლასში არ არის სსსმ მოსწავლე	

გაკვეთილის მიზანი

მოსწავლეები შეძლებენ მსჯელობას შუა ბრინჯაოს ხანის ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების, განვითარებისა და კულტურ
განვითარების თანმხლებ მახასიათებლებზე;

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები იმსჯელებენ შუა ბრინჯაოს ხანის ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა დაგანვითარების შესახებ((ვერცხლისა თუ ბუნებრივი ქვების მოპოვება-დამუშავება და სხვა) ,იმმახასიათებლების შესახებ,რომელიც თან
კულტურულ განვითარებას(საცხოვრისები, დაკრძალვის ცერემონია,რელიგიური ფაქტორი და სხვა);

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ისტ.IX.6..მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ პერიოდები-ქვის ხანა, სპილენძ-ქვის ხანა, ადრებრინჯაოს ხანა;

მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ შემდეგი უნარ -ჩვევები:

-საკუთარი ქვეყნის წარსულისა მიმართ ცნობისმოყვარეობის გაღვიძება;

-გაცნობიერება იმისა, რომ საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა;

-საკუთარი ქვეყნის კულტურის მრავალმხრივად დანახვისა და შეცნობის უნარი;

-სამოქალაქო ცნობიერების განვითარების უნარი;

შეფასება:

განმავითარებელი შეფასება - დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის(სადაც შემაქვს ინფორმაცია ჯგუფური მუშაობის აქტივ
პარალელურად), პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, სიტყვიერი კომენტარი, ახსნა-განმარტება, არაფორმალური დაკვირვება(რუ
გარეშე-უბრალოდ ვაკვირდები მოსწავლეთა მუშაობას და ვინიშნავ, რა ხარვეზი დაფიქსირდა და რისი გამოსწორება/გაუმჯობესებაა საჭირო)
შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები(გაკვეთილის ბოლოს ვაანალიზებ);

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისთვის

	ჩართულობა და თანამშრომლობა	დროის მენეჯმენტი	იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა
I ჯგუფი				
II ჯგუფი				
III ჯგუფი				

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ჯგუფები	პასუხობს შესაბამის მოთხოვნას	საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	იცავს დროის ლიმიტს	აკავშირებს/ადარებს/აფასებს ფაქტებსა და მოვლენებს	ფლობს აუდიტორიას
I ჯგუფი					
II ჯგუფი					
III ჯგუფი					

,,ბესტსელერის"შეფასების რუბრიკა

შესრულებული დავალება მოთხოვნის შესაბამისია;
დავალება ორიგინალურად/საინტერესოდაა წარმოდგენილი;
დავალება აუდიტორიისათვის იოლად აღქმადია;

აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულადაა გადმოცემული და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები;

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**
მოსწავლეებმა იმსჯელესშუა ბრინჯაოს ხანის ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების , განვითარებისა დაკულტურული განვითარების თანმხლებ მახასიათებლებზე;		

რესურსები:
სახელმძღვანელო;
აკვარიუმი;
ქვიშა ;
სამუშაო ფურცლები;
თემის შესაბამისი სურათები;
მარკერები;
ფერადი ფანქრები;
პასტები;
ფლიპჩარტები;

ქართული ფული(5-თეთრიანი);
მაგნიტები;
რუკა;
კომპიუტერი;
სიტუაციური დავალებები;
გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი”;

ლინკები მოცემულ დროზე-10.03.2019წ.
https://www.google.com/search?q=%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98+%E1%83%A7%E1%83%
9D%E1%83%A0%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&sa=X&biw=1280&bih=640&tb
Isch & source = iu & ictx = 1 & fir = KUMXl3FW1i2YrM% 253A% 252CEmP95pipc4YFqM% 252C_ და ვეტერინარული = 1 & აშშ-ის
მთავრობის = AI4_-kR_XTYOTptDG_dyY7loil7ImT_qOg და ავტორი = 2ahUKEwj454Kx-_fgAhXbwMQBHU56AcEQ9QEwFnoECAQQ
imgrc = pRHqua3158 IEnM: & ვეტერინარული = 1 https: // www.qwelly.com/group/art/forum/topics /ეროვნული კერა

https://www.slideshare.net/fiqriasidamonize/ss-26756883
https://www.google.com/search?q=%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98+%E1%83%A7%E1%83%
9D%E1%83%A0%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&sa=X&biw=1280&bih=640&tb
Isch & source = iu & ictx = 1 & fir = KUMXl3FW1i2YrM% 253A% 252CEmP95pipc4YFqM% 252C_ და ვეტერინარული = 1 & აშშ-ის
მთავრობის = AI4_-kR_XTYOTptDG_dyY7loil7ImT_qOg და ავტორი = 2ahUKEwj454Kx-_fgAhXbwMQBHU56AcEQ9QEwFnoECAQQ
imgrc = Q50kke6GK96jVM: & ვეტერინარული = 1

http://amigo.ge/saunjegallery/albums/userpics/10001/bedenis_gandzi.jpg

http://umurgulia82.blogspot.com/2016/09/blog-post_22.html

http://saunje.ge/index.php?id=820&lang=ru

აქტივობა №1 -გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა; შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.

აქტივობის აღწერა-p.p-ში მაქვს შეტანილი მაქვს თემა, მიზანი, შეფასების კრიტერიუმები, რომელსაც სიტყვიერადაც გავაცნობ მოსწავლეებს;

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაეცნობიან საგაკვეთილო თემას, მიზანს, რომელიც გაკვეთილის ბოლოს შედეგად უნდა გადაიქცეს.გაიგებ
კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება;

აქტივობის შედეგი: მოსწავლეები მოახდენენ გონების კონცენტრაციას საგაკვეთილო თემის, მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბ
რაც ხელს შეუწყობს მიზნის შედეგად გადაქცევას.

კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო

დროის მენეჯმენტი-2 წთ.

აქტივობა #2-,,აკვარიუმი,,-არქეოლოგიური პერიოდების განსაზღვრა.

აქტივობის აღწერა- აკვარიუმში ჩაყრილი მაქვს ქვიშა. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, რომ გამოვიდნენ მასწავლებლის მაგიდასი
აკვარიუმის თითოეულ დაშტრიხულ ნაწილზე მიაკრან შესაბამისი არქეოლოგიური პერიოდი(პალეოლითი, მეზოლითი, ნეო
ენეოლითი,ადრებრინჯაოს ხანა) და მოკლედ უნდა განმარტონ ამ პერიოდის ძირეული მახასიათებლები (მოსწავლეებმა აკვარიუმის ფსკერ
აღიქვან ყველაზე ძველ პერიოდად- პალეოლითად და ა.შ.).

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან გაიხსენონ/გააააქტიურონ წინარე ცოდნა , რითაც მოამზადებენ გარკვეულ საფუძველს ახალი ც
შესაძენად.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები გაიხსენებენ/ გააქტიურებენ წინარე ცოდნას-არქეოლოგიურ პერიოდებს შესაბამისი მახასიათებლებ
გარკვეულ საფუძველს მოამზადებენ ახალი ცოდნის მისაღებად.;

კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური

დრო-4წთ.

აქტივობა#3- გიორგი ლეონიძის ,,ყივჩაღის პაემანის"გახსენება, ასოციაცია ,,ყორღანები".

აქტივობის აღწერა- მოსწავლეებს ვთხოვ, რომ გაიხსენონ გიორგი ლეონიძის ლექსი ,,ყივჩაღის პაემანის" პირველი სტროფი(ყორღანებიდან
აფრინდა...) და განმარტონ, თუ რა ასოციაციას აღძრავს მათში სიტყვა ,,ყორღანი,, და თავიანთი ნააზრევი დააფიქსირონ ფლიპჩარ
მოსწავლეებმა არ იციან ეს ლექსი, ასეთ შემთხვევაში მე წავუკითხავ) და აქვე განმარტონ, თუ როგორ შეიძლება დავაკავშიროთ ეს
ისტორიასთან.

შემდეგ ვაჩვენებ ყორღანის სურათს და მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რატომ მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება ამ ბორცვმა(და არა მხ
ამ ბორცვმა). პარალელურად რუკაზე ვაჩვენებ ყორღანების ადგილებს საქართველოში და ვაწვდი მცირე ინფორმაციას ყორღანული სამა
კულტურაზე, რომელიც თრიალეთის კულტურის სახელითაა ცნობილი,რადგან ეს კულტურა პირველად გამოვლინდა თრიალეთის მაღალმთიან ზო
მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის კულტურამ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორია მოიცვა,მაინც თრიალეთის კულტურის სახელითაა ცნობილ
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან ამოიცნონ გიორგი ლეონიძის ლექსში გამოყენებული „ყორღანის" მნიშვნელობადა დააკავშირე
ისტორიასთან.მოსწავლეები ასევე შეეცდებიან ყორღანის სურათზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთებას იმის თაობაზე, თუ რით არის ეს ბ
ყურადსაღები მეცნიერთათვის.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები დააკავშირებენ ყორღანებს ისტორიასთან და შეექმნებათ პირველადი წარმოდგენა ყორღანებზე.
კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი-4წთ.
შუალედური შეფასება-1წთ.

აქტივობა#4- შუა ბრინჯაოს ხანის საცხოვრისები,საქმიანობა, სამარხები-აღწერა, კითხვებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთ
აქტივობის აღწერა-ჯგუფებს ურიგდებათ შუა ბრინჯაოს ხანის სახლების სურათები, ასევე კონკრეტული სურათები ადამიანის საქმი
სფეროებით, ასევე ყორღანული სამარხის სურათი ზედ დატანილი კონკრეტული ინფორმაციით.ჯგუფებს ეძლევათ დავალება:
პირველი ჯგუფი- ჯგუფს მიეცემა შუა ბრინჯაოს ხანის სახლების სურათები. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ შუა ბრინჯაოს ხანის სახლ
უპასუხონ კითხვებს:
1.თქვენი აზრით, რა მასალისაგან შეეძლოთ აეგოთ ასეთი ტიპის სახლები შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანებს?
2.გამომდინარე პირველი კითხვის პასუხიდან, ადამიანთა საქმიანობის რა სფეროები იქნებოდა შუა ბრინჯაოს ხანაში განვითარებული?
3.მიუხედავად პრიმიტიულობისა, ჩაითვლება თუ არა ეს სახლები კულტურის ნიმუშად?პასუხი დაასაბუთეთ.

მეორე ჯგუფი-ჯგუფს მიეცემა კონკრეტული სურათები ადამიანის საქმიანობის სფეროებით და მათ უნდა გააკეთონ დასკვნები შემდეგ კით
დაყრდნობით:
1.სურათების საფუძველზე აღწერეთ , რას საქმიანობენ/ამზადებენ ადამიანები?
2.#1 კითხვის პასუხის შესაბამისად განსაზღვრეთ ის საქმიანობის სფეროები, რითაც შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანები არიან დაკავებულნი.
3.ჩაითვლება თუ არა შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანის მიერ დამზადებული შრომისა თუ საბრძოლო იარაღი კულტურის შემადგენელ ნაწილად?

მესამე ჯგუფი- ჯგუფს ეძლევა ყორღანული სამარხის სურათი და მოსწავლეებს ეძლევათ დავალება , რომ გააკეთონ შემდეგი სახის დასკვნები:
1.ვინ შეიძლება იყოს დაკრძალული ამ სამარხში?პასუხი დაასაბუთეთ.
2.რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ სამარხებში ყველანაირი საყოფაცხოვრებო და საბრძოლო იარაღია ჩატანებული?
3.ჩაითვლება თუ არა ეს ყორღანი კულტურის შემადგენელ ნაწილად? პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობის მიზანი-ჯგუფები შეეცდებიან სურათების მეშვეობით გააკეთონ შესაბამისი დასკვნები შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის სხვა
მიმართულების შესახებ ;
აქტივობის შედეგი-ჯგუფები გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს კონკრეტულ რესურსებზე დაყრდნობით შუა ბრინჯაოს ხანის შესახებ-დაწ
ადამიანთა საცხოვრისებით,საქმიანობის სფეროთი თუ დაკრძალვის ცერემონიით და დასრულებული ამ რესურსებიდან მიღებული ინფორ
კულტურასთან შესაბამისობით.
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დრო-9 წთ;

აქტივობა#5-კითხვა-პასუხი , წნორის ოქროს ლომი, თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის თასები-ანალიზი
ობის აღწერა-მონიტორზე გამომაქვს წნორის სამარხის ლომის მინიატურული ფიგურა და მოსწავლეებს ვეკითხები, თუ სად უნახავთ ასეთი
გამოსახულება. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ ვაჩვენებ ქართულ 5-თეთრიანს , მასზე გამოსახულ ლომს და ვეკითხები, რატომ არის
გამოსახულება ქართულ თეთრზე და რისი სიმბოლოა იგი? შემდეგ მოსწავლეებს ვუხსნი, რომ სწორედ წნორის სამარხში აღმოჩენილი
დატანილი როგორც ქართულ თეთრზე, ისე საქართველოს ბანკის ემბლემაზე. მოსწავლეებმა უნდა ახსნან , თუ რა საფუძველი/დატვირთვა ექ
შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანის მიერ გაკეთებულ ლომის მინიატურულ ფიგურას. პარალელურად მონიტორზე გამომაქვს თრიალეთის ყორ
სამარხში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის თასები.მოსწავლეებმა სამივე რესურსზე დაყრდნობით უნდა გააკეთონ მრავალფეროვანი დას
პასუხები ფიქსირდება ფლიპჩარტზე.
აქტივობის მიზანი- მოსწავლეები შეეცდებიან გააკეთონ დასკვნები კონკრეტულ რესურსზე დაყრდნობით შუა ბრინჯაოს ხანის კულტურაზე;
აქტივობის შედეგი-მოსწავლეებიგააკეთებენ შესაბამისდასკვნებს შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის ისეთ მიმართულებაზე, როგორიცაა ოქრ
ვერცხლის მოპოვება/დამუშავება, ბუნებრივი ქვების დამუშავების ხელოვნება , ამ ქვების ოქროში ჩასმა და
ა. შ.
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დრო-7წთ.

აქტივობა#6- ,,დღიური, საგაზეთო სტატია და ტელერეპორტაჟი" - გასაუბრება წინა თაობის ადამიანებთან;ბესტსელერის გამო

აქტივობის აღწერა-ჯგუფებს ურიგდებათ კონკრეტული სიტუაციური დავალებები და ეძლევათ ინსტრუქცია, რომ შექმნან კონკრეტული ისტ
შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანების შესახებ. დავალების წარმოდგენა უნდა მოხდეს შემოქმედებითად/ ორიგინალურად(დავალების შეს
შესაძლებელია ზეპირი ან წერილობითი სახით) .დავალებისწარდგენის შემდეგჯგუფები გამოავლენენ ,,ბესტსელერს".

დავალებები ჯგუფებისთვის:

პირველი ჯგუფი

სიტუაცია- მოგზაურობის დროს გზა აგერიათ და შემთხვევით აღმოჩნდით შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანებთან, სადაც გარკვეული პერიოდი მო
დარჩენა.იმდენად საინტერესოდ მოგეჩვენათ ამ პერიოდის ადამიანთა ცხოვრება, რომ დღიურების დაწერა დაიწყეთ,რათა თუნდაც მცირეოდენი
არ გამოგრჩენოდათ.

დავალება-შეადგინეთ დღიური შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანის ერთი დღე;

მეორე ჯგუფი

სიტუაცია-თქვენ ხართ ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის კორესპონდენტი.გაზეთის რედაქტორისაგან მიიღეთ დავალება, რომ მოამზადოთ სტა
ბრინჯაოს ხანის ადამიანთა შესახებ.ჩახვედით ადგილზე და გაეცანით თქვენთვის საინტერესო მიმართულებებს და გაზეთისათვის
საინტერესო მასალა მოამზადეთ.

დავალება- დაწერეთ საგაზეთო სტატია შუა ბრინჯაოს ხანის ნებისმიერი მიმართულების შესახებ;

მესამე ჯგუფი

სიტუაცია-თქვენ წარმოადგენთ ერთ-ერთ პოპულარულ სატელევიზიო არხს. ამ პოპულარობას განაპირობებს თქვენს მიერ მომზადებული
ექსკლუზიური რეპორტაჟები სიახლის ადგილებიდან .ამჯერადაც შეეცადეთ თქვენი რეპორტაჟი მეტად საინტერესო ყოფილიყო და გამოგივიდათ

დავალება-რეპორტაჟი შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანთა დასახლებიდან შუა ბრინჯაოს ხანის ნებისმიერი მიმართულების შესახებ;

აქტივობის მიზანი-ჯგუფები შეეცდებიან შემოქმედებითად/ ორიგინალურად შექმნან ახალი ისტორიები შუა ბრინჯაოს ხანის ადამიანის შესახ
აქტივობის შედეგი-ჯგუფები შემოქმედებითად მიუდგებიან საკითხს და დღიურის , საგაზეთო სტატიისა თუ რეპორტაჟით შექმნიან შუა ბრ
ხანის ადამიანებზე კონკრეტულ ისტორიებს, შემდეგ კი თვითონვე გამოავლენენ „ბესტსელერს".
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დრო-10წთ.

აქტივობა#7-მოსწავლეთა უკუკავშირი „სეგმენტურ მატრიცაზე" დაყრდნობით-სიტყვების ჯაჭვით შექმნილი რეალური ისტორიე
აქტივობის აღწერა- ჯგუფებს ეძლევათ ინსტრუქცია, რომ უკუკავშირი განახორციელონ „სეგმენტურ მატრიცაზე" დაყრდნობით,რ
გულისხმობს ჯერ დამოუკიდებლად ინდივიდუალურ სეგმენტში ჯგუფის წევრებთან კონტაქტის გარეშე თემასთან დაკავშირებული საკვანძო სიტ
დაფიქსირებას , შემდეგ კი ამ სიტყვების ჯაჭვით ცენტრალურ სეგმენტში გაკვეთილზე მიღებული ახალი ცოდნის მუხლობრივად დაფიქსირებას. ჯ
კლასის წინაშე განახორციელებენ უკუკავშირს .
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან ყველა იმ ფაქტისა თუ მოვლენის გამთლიანებას, რომელიც სიახლის სახით დაფიქსირდა დღეგ
გაკვეთილზე.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები სიტყვების ჯაჭვით „სეგმენტურ მატრიცაზე" დაყრდნობით ჯერ ინდივიდუალურად,
კი ჯგუფურად გაამთლიანებენ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას; მე კი აკვარიუმის დაშტრიხულ ნაწილზე შესაბამის ადგილზე განვა
წარწერას„შუა ბრინჯაოს ხანა"„რითაც გავამთლიანებ/შევავსებ მოსწავლეთა უკუკავშირს.
კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური+ჯგუფური
დრო-5წთ.

აქტივობა#8-საბოლოო შეფასება მიზნის შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით
აქტივობის მიზანი- გაკვეთილის საბოლოო შეფასებით მოხდება მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება მათ მიერ შესრულებული სა
დადებითი მახასიათებლებისა და მათივე მუშაობის გასაუმჯობესებელი გზების შესახებ.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეების მიერ მოხდება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე ანალიზის გაკეთება სამომავლოდ გაუმჯობესების მიზნი
კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო- საკლასო;

დრო-3წთ.